

შიდა ქართლის გუბერნატორმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად ვაშლის მსხმოიარე ბაღი დაათვალიერა

24 სექტემბერი 2018

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კვარხეთში, სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, შპს „ტირიფონის ბაღებმა“ ხეხილის ინტენსიური ბაღი გააშენა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, შიდა ქართლის რწმუნებულთან-გუბერნატორთან გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად, ინტენსიური ტიპის ბაღები დაათვალიერა და მოვლის ოპერაციებს - მექანიკური სხვლა, ფესვების მიწისქვეშა შეკვეცა, სეტყვის სანინაალმდეგო ბადის გაშლა - გაეცნო.

„კვარხეთში გაშენებული ახალი ბაღები არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ჩვენი პოლიტიკა არის სწორი. ჩვენ გვინდა კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მეურნეობები, რომლებიც წარმოებულ პროდუქციით ბაზარზე თავს დაიმკვიდრებენ. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით „ტირიფონის ბაღებში“ საუკეთესო ხარისხის მოსავალი მიიღეს“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

„ტირიფონის ბაღები“ პროგრამაში 2015 წელს ჩაერთო და 27 ჰა-ზე ვაშლის ინტენსიური ბაღის გაშენებისთვის სახელმწიფოსგან 100,000 ლარის თანადაფინანსება მიიღო. კომპანიამ შეღავათიანი აგროკრედიტითაც ისარგებლა და 2,000,000 ლარის ოდენობით სესხი სეტყვისგან დამცავი ბადეების, საყრდენი ბოძების, სარწყავი წვეთოვანი სისტემების მოწყობისთვის გამოიყენა. ბაღის გაშენებისთვის, სულ, 4,700,000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა. წელს ვაშლის პირველ მოსავალს უკვე აიღებენ.

შიდა-ქართლის გუბერნატორის გიორგი ხოჯევანიშვილის განცხადებით, სწორედ საერთაშორისო სტანდარტის სოფლის მეურნეობა არის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ „ტირიფონის ბაღები“ პირველი კომპანიაა, რომელმაც, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, Global Gap-ის პირველადი წარმოების საერთაშორისო სერთიფიკატი აიღო.

2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, დაფინანსებულია ხეხილის ახალი ბაღების გაშენება 5,546 ჰექტარზე; სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა 29,304,613 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან, შიდა-ქართლის რეგიონში დაფინანსებულია ხეხილის ბაღების გაშენება 1,674 ჰა მიწის ფართობზე.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.